



რუსეთის რელიგიათაშორისმა საბჭომ გამოაქვეყნა განცხადება სახელმწიფო რეგისტრაციის დაუშვებლობის შესახებ იმ სავაჭრო ნიშნებისა, რომლებიც რელიგიურ სიმბოლოებს გამოსახავენ



რუსეთის რელიგიათაშორისი საბჭოს განცხადება, რომელიც კოორდინირებულია მისი პრეზიდიუმის წევრებთან დისტანციური კომუნიკაციის საშუალებით, შეიცავს მოწოდებას – არ გამოიყენონ წმინდა სიმბოლოები, გამოსახულებები და წმინდანთა სახელები კომერციული პროდუქციის ეტიკეტებში, პირველ რიგში, ალკოჰოლური სასმელებზე.

რუსეთის რელიგიათაშორისი საბჭოს განცხადება

რელიგიური სიმბოლოების სავაჭრო-სასაქონლო ნიშნად სახელმწიფო რეგისტრაციის დაუშვებლობის შესახებ

უკანასკნელ ხანებში იყო შემთხვევები, როცა სავაჭრო პროდუქციაზე ატანდნენ წმინდანთა სახელებს, მათ

გამოსახულებებს, ასევე რწმენის სიმბოლოებს და მორწმუნეების მიერ პატივდებულ სხვა ცნებებსა და სიმბოლოებს, მათ შორის ალკოჰოლურ სასმელებზე.

სავაჭრო ნიშნები გამიზნულია, მათ შორის, ალკოჰოლური სასმელების მარკირებისთვის, განკუთვნილია გარკვეულ პირთა წრისათვის, მათ შორის მორწმუნეებისთვის, რომლებიც თავს მიიჩნევენ კონკრეტული რელიგიური აღმსარებლობის მიმდევრებად, მათში არსებული ინფორმაცია კი საჯარო ხასიათისაა.

ალკოჰოლურ სასმელებზე წმინდანთა გამოსახულებების ან სახელების გამოსახვა, მათი სავაჭრო ნიშნად გამოყენება შეიძლება ჩაითვალოს ქმედებად, რომელიც ჩადენილია მორწმუნეთა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისათვის და თაყვანისცემის ობიექტის შეურაცხყოფისათვის, წმინდანთა სახელის ჩათვლით.

დადგენილი წესით რეგისტრირებული რელიგიური კონფესიის მიერ აღიარებული წმინდანის სახელის ან მისი გამოსახულების გამოყენება, არ შეიძლება იყოს ამა თუ იმ ფიზიკური ან იურიდიული პირის ექსკლუზიური უფლება, თუ ის არ არის რელიგიური ორგანიზაცია ან ასეთი ორგანიზაციის მიერ დაარსებული იურიდიული პირი.

ამასთან დაკავშირებით, სრულიად დაუშვებელია სახელმწიფო რეგისტრაცია სავაჭრო პროდუქციის აღმნიშვნელ ნიშნად წმინდანთა სახელებისა და მათი გამოსახულებების, ასევე რწმენის სიმბოლოებისა და მორწმუნეების მიერ სხვა პატივდებული ცნებებისა, სიმბოლოებისა და სემანტიკურად მათთან დაკავშირებული კატეგორიებისა (ანუ ასეთი წმინდა გამოსახულებების, სიმბოლოებისა და ცნებების კომერციალიზაცია), მით უმეტეს ალკოჰოლური სასმელების მარკირებისთვის.

რრს-ს საიტი / სსკგ-ს კომუნიკაციის სამსახური

წყარო: <https://mospat.ru/ge/news/88268/>